საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/122

ქ. ბათუმი 22 ივლისი, 2021 წ.

ბსუ-ს ზოგიერთი სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა ინფორმირებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებისა და დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, წესდების მე–13 მუხლის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2021 წლის 29 აპრილის წერილის (MES8210000432100), სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი გაგზავნილი ბსუ-ს წერილის (14.05.2021 წლის MES9210000447916), ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნის (N 453959, 19.05.2021 წ), ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების (60-დღიანი ვადა ხარვეზის გამოსწორების თაობაზე, ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 9 ივნისის სხდომის ოქმის NMES0210000549059), ,ბსუ-ს ზოგიერთი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის (2011-2012 სასწავლო წლიდან ჩარიცხული პირები) ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N07-01/30 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N07-01/30 გადაწყვეტილების საფუძველზე ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამების: ,,სამართალი", ,,ბიზნესის ადმინისტრირება" და ,,ფინანსები და საბანკო საქმე" და ,,ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" კურსდამთავრებულთა/ყოფილ სტუდენტთა მიერ ბსუ-ში ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების შესაძლებლობის შესახებ ამ პირთა ინფორმირების მიზნით ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსდეს განცხადება (დანართი 1).
2. წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N07-01/30 გადაწყვეტილების აღსრულების, ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების პროცესის მონიტორინგის მიზნით შეიქმნას დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) რექტორის მოადგილე თამარ სირაძე -კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იაკინთე ჩხარტიშვილი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმღვანელის მ/შ ირაკლი კორძაია;

დ) საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტის უფროსი გურამ გვარიშვილი;

ე) იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ჟანა ჯიბლაძე;

ვ) სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსი ირმა ქერქაძე;

ზ) სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კულტურის დეპარტამენტის უროსი მერაბ დიასამიძე.

3. კომისიის სხდომები გაიმართოს ყოველ 10 სამუშაო დღეში და იხელმძღვანელოს ,ბსუ-ს ზოგიერთი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის (2011-2012 სასწავლო წლიდან ჩარიცხული პირები) ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N07-01/30 გადაწყვეტილებით და წინამდებარე ბრძანებით.
4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. ბრძანება დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, ტურიზმის ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ს რექტორი, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში

ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 22 ივლისის
N01-02/122 ბრძანების
დანართი 1

ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამების: ,,სამართალი", ,,ბიზნესის ადმინისტრირება" და ,,ფინანსები და საბანკო საქმე" და ,,ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის"
კურსდამთავრებულთა/ყოფილ სტუდენტთა საყურადღებოდ!

„ბსუ-ს ზოგიერთი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის (2011-2012 სასწავლო წლიდან ჩარიცხული პირები) ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ" **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N07-01/30 გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა** ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე 2011-2012 წლებისათვის სწავლის საფასურის ოდენობების განსაზღვრის თაობაზე'' <u>ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს **2011 წლის 24 ივნისის N8** გადაწყვეტილებაში</u> ბსუ-ს სამი სამაგისტრო პროგრამის (,სამართალი", ,,ბიზნესის ადმინისტრირება" და ,,ფინანსები და საბანკო საქმე") ნაწილში და ნაცვლად 2500 ლარისა, **2011-2012 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სწავლის წლიური საფასური განისაზღვრა 2250 ლარით.**

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 15 ივლისის N07-01/30 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის თანახმად, 2250 ლარამდე სწავლის წლიური საფასურის შემცირების შესახებ წარმომადგენლობითი საბჭოს ეს გადაწვეტილება და **2021 წლის 16 თებერვლის N07-01/11 გადაწყვეტილება ვრცელდება 2011-2012 სასწავლო წლიდან 2020-2021 სასწავლო წლებში ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამებზე:** ,,სამართალი", ,,ბიზნესის ადმინისტრირება" და ,,ფინანსები და საბანკო საქმე" და ,,ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" (2018-2019 სასწ. წლიდან) **ჩარიცხულ ბსუ-ს სტუდენტებზე, რომლებმაც დაასრულეს სწავლა (კურსდამთავრებულები) ან სხვადასხვა მიზეზით შეუწყდათ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი** (შიდა/გარე მობილობით/პირადი განცხადებით ან სხვა).

წარმომადგენლობითი საბჭოს 15 ივლისის N07-01/30 გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის თანახმად, ბსუ-ს შესაბამისი სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებს/სტატუსშეწყვეტილ პირებს (2011-2012 სასწავლო წლიდან ჩარიცხული **პირები), რომლებსაც გადახდილი აქვთ ბსუ-ში სწავლის წლიური საფასური 2 250 ლარზე მეტი ოდენობით, ჩაეთვალათ ზედმეტად გადახდილად.**

კურსდამთავრებულებს/სტატუსშეწყვეტილებს, მათი წერილობითი განცხადებების შესაბამისად, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე

დაუბრუნდებათ ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასური ეტაპობრივად, უფლებამოსილი პირის განცხადების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში, ხოლო იმ კურსდამთავრებულებს/სტატუსშეწყვეტილებს, ვინც 2021 წლის 15 ივლისამდე წარმოადგინა განცხადება ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების თაობაზე - არაუგვიანეს 2021 წლის სექტემბრისა.

ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების თაობაზე განცხადებები უფლებამოსილმა პირმა შესაძლებელია წარმოადგინოს ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით ან ელექტრონულად (სტუდენტური პორტალის ან ბსუ-ს ოფიციალური ფოსტის საშუალებით - info@bsu.edu.ge). განცხადებაში უნდა მიეთითოს სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ბსუ-ს რომელ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლობდით, რომელ წლებში, საკონტაქტო ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, რეგისტრირებული და ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, ასევე საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც შეიძლება ჩაირიცხოს ბსუ-ში ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასური.

იხილეთ ქვემოთ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებები:

1. **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N07-01/30 გადაწყვეტილება;**
2. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 16 თებერვლის N07-01/11 გადაწყვეტილება.